დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 49 08
07/12/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის კვარტალური ანგარიშის განხილვის შესახებ

,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'' 85-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, რა აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის კვარტალური ანგარიში, **გადაწყვიტა:**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N50 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 6448,7 ათას ლარს, მათ შორის: გადასახადები 1550,0 ათასი ლარი, გრანტები - 3881,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1002,5 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 15,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ექვსჯერ; აქედან სამჯერ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 2018 წლის 1-ლი აგვისტოს N1467 და 2018 წლის 17 აგვისტოს N1621 განკარგულების საფუძველზე , ერთხელ წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად და ორჯერ შიდა გადაადგილება მუხლებასა და კოდებს შორის.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 77,9 % (გეგმა - 6747,6 ათასი ლარი, ფაქტი - 5257,5 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) საშემოსავლო გადასახადი 99,4% (გეგმა -140,0 ათასი ლარი- ფაქტი 139,2 ათასი ლარი).

ბ) - ქონების გადასახადი 107,6% (გეგმა 1088,5 ათასი ლარი, ფაქტი 1170,7 ათასი ლარი)

გ) - გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია - 91,2% (გეგმა -3190,2 ათასი ლარი, ფაქტი -2910,6 ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 152,5% (გეგმა - 743,5 ათასი ლარი, ფაქტი - 1133,9 ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 558,0 ათასი ლარი (RMG GOLD-500,0 ათასი ლარი, შპს „ართა" ბაზალტის ტუფის მოპოვებიდან 58,0 ათასი ლარი). შემოსავალი მიწის იჯარიდან - 121,7 ათასი ლარი რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 101,4%-ია (გეგმა 120,0 ათასი ლარი, ფაქტი 121,7 ათასი ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 32,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70,3 %-ია (გეგმა 46,5 ათასი ლარი, ფაქტი 32,7 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან 100,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 238,6 %-ია (გეგმა 42,0 ათასი ლარი, ფაქტი 100,2 ათასი ლარი), და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები მიღებულია - 39,3 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 48% (გეგმა 6747,6 ათასი ლარი, ფაქტი 3243,7 ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 88,1% (გეგმა - 1673,3 ათასი, ფაქტი - 1474,2 ათასი ლარი).
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 98,4 % (გეგმა - 50,2 ათასი ლარი, ფაქტი - 49,4 ათასი ლარი).
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 18,6 % (გეგმა - 3890,9 ათასი ლარი, ფაქტი - 722,7 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი შემოსავლებით განხორციელებული პროექტები შეადგენს 17,4%-ს (გეგმა - 3616,9 ათასი ლარი, ფაქტი - 628,8 ათასი ლარი).
- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 79,2% (გეგმა 419,2 ათასი ლარი, ფაქტი -332,1 ათასი ლარი).
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 93,5 % (გეგმა - 399,5 ათასი ლარი, ფაქტი 37,7 ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის - 92,7 % (გეგმა - 314,4 ათასი ლარი, ფაქტი 291,5 ათასი ლარი).
- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 872,0 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 26,9 %-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 531,9 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 16,4%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე -1,6%, ოფისის ხარჯები - 6,7 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 2,9%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 4,7%,სამივლინებო ხარჯები 0,5%.

გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 31,2%.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულია - 7,2%.

ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 2,2%

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 13,6 %.

ზ) გრანტი - 06,%

თ) პროცენტის დაფარვის ხარჯი - 1,7%

ი) წარმომადგენლობითი ხარჯი - 0,2%.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 9 თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 64,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) სტიქიის შედეგად (ხანძარი, ქარიშხალი, ძლიერი წვიმები) დაზიანებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისათვის ერთჯერადი დახმარების სახით გაცემულია -17,9 ათასი ლარი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის გარდაცვალების გამო სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებისათვის -4,6 ათასი ლარი და თივის ზვინების დაწვის გამო -3,0 ათასი ლარი.

ბ) ზამთრის პერიოდში გზის გაწმენდის სამუშაოებისათვის -2,4 ათასი ლარი.

გ) სოფ ირგანჩაიში, სოფელ მამიშლოში, სოფ.ამამლოში და სოფ.მთისძირში საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ხეების მოჭრისათვის -1,5 ათასი ლარი.

დ) ავადმყოფობის მკურნალობის გამო- 4,4 ათასი ლარი.

ე) ევროპის ჩემპიონატში და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეებისთვის -1,9 ათასი ლარი.

ვ) საეპისკოპოსოს რეზიდენციის სახურავის რემონტისათვის -3,4 ათასი ლარი.
ზ) სხვადასხვა კონკურსში და ფესტივალის ფარგლებში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოებისათვის - 2,0 ათასი ლარი.
თ) აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით (უკიდურესად გაჭირვებულ 28 ოჯახს ნობათის სახით სასაჩუქრე პაკეტების გადაცემა) - 2,9 ათასი ლარი.
ი) ქვემო ქართლის მასშტაბით დაგეგმილი კონკურს-ფესტივალში მონაწილეობისათვის "სხვა საქართველო სად არის" -1,5 ლარი.
კ) ააიპ ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ფილმის შექმნა-ჩვენება - 2,7ათასი ლარი. ლ) ძლიერი წვიმის შედეგად ჩამოტანილი შლამისაგან გზების და სავარგულების გაწმენდითი სამუშაოებისათვის და სასმელი წყლის სისტემების აღსადგენად - 2,5 ათასი ლარი.
მ) საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციაზე 1,2 ათასი ლარი.
ნ) უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა - 4,2 ათასი ლარი.
ო) დმანისობა ,,2018''-ში სპორტული წარმატებისთვის - 0,5 ათასი ლარი.
პ) დმანისობა ,,2018'' დღესასწაულთან დაკავშირებით ბიო-ტუალეტების დაქირავებისათვის - 1,6 ათასი ლარი.
ჟ) ქ.დმანისში 9 აპრილის N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის ორფრთიანი კარების შეძენა - მონტაჟისათვის 3,9 ათასი ლარი.
რ) სოფელ ოროზმანში მცხოვრების აკიფ ბაირამოვის ერთჯერადი დახმარება მგლების ხროვისგან ცხვრების შეჭმის გამო 1,0 ათასი ლარი.

2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთი შეადგენს 35,6 ათას ლარს. დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების და გადასახდელების დეტალური მუხლობრივი განწერა დაფიქსირებულია ორგანიზაციულ ჭრილში შესაბამისი კოდის მიხედვით თანდართულ შესრულების ფორმებში.

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების 9 თვის კვარტალური ანგარიში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

ოქრიაშვილი მერაბ

საკრებულოს თავმჯდომარე